SOCIÉTÉ FRANÇAISE DE PHARMACIE ONCOLOGIQUE ONCOLIEN®

პაციენტის საინფორმაციო ფურცელი

MERCAPTOPURINE - PURINETHOL®

რა არის PURINETHOL

მოლეკულის აღწერა	აღწერა
მერკაპტოპურინი	50 მგ-იანი ტაბლეტი: ღია ყვითელი

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის ..... მგ/დღეში, ანუ 50 მგ-იანი ..... აბი, რომელიც უნდა მიიღოთ ერთ მიღებაზე, ყოველდღე.

ტაბლეტი უნდა გადაყლაპოთ მთლიანი, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაქუცმაცების, გატეხვის, დაღეჭვის ან განზავების გარეშე. თუ გიჭირთ აბების გადაყლაპვა, არსებობს სუსპენზია სითხის სახით, მოიძიეთ ინფორმაცია.

მიიღეთ ფიქსირებულ დროს. საკვების ან რძის მიღებისგან მოშორებით: 1 საათით ადრე ან 3 საათის შემდეგ კვების მერე (უმჯობესია საღამოს).

დავიწყების ან ღებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

მიიღეთ ფიქსირებულ დროს, ერთხელ დღეში, ვახშმის მერე 3 საათის შემდეგ			საღამოს	
უწყვეტლივ				

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და დაგეგმეთ რეცეპტის განახლება წინასწარ.

გთხოვთ შეინახოთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამარფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის საერთო ანალიზის აღება, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის ანალიზის მაჩვენებლებს, ღვიძლისა და პანკრეასის ფუნქციებს).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და დამატებითი მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

PURINETHOL®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ

მაგალითი: მოერიდეთ ზეთისხილის მოხმარებას PURINETHOL®-თან ერთად. ზოგიერთი (ცოცხალი) ვაქცინა არ არის რეკომენდირებული PURINETHOL®-თან ერთად.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
	ბიოლოგიური ანალიზის ანომალიები: თეთრი სისხლის

SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com
საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის

ყველაზე ხშირი	შემცირება (ნეიტროპენია), თრომბოციტების დონის დაქვეითება (თრომბოპენია), ჰემოგლობინის დონის შემცირება (ანემია), ღვიძლის ფუნქციური ტესტების ანომალია **მომნელებელი სისტემის დარღვევები**: გულისრევის შეგრძნება, ღებინება, დიარეა, ანთება პირის ღრუში (აფთები), წონის დაკარგვა
ზოგ პაციენტს ესაჭიროება განსაკუთრებული ყურადღება	ლაქტოზის აუტანლობის მქონე პაციენტები B ჰეპატიტისა და ვარიცელა-ზოსტერის მატარებელი პაციენტები
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	**ინფექციის მაჩვენებელი სიმპტომები** > ტემპერატურა > 38,5 °C > ხველება, ყელის ტკივილი, ტკივილი შრდვისას, დიარეა და სიცხე ერთად **მომნელებელი სისტემის დარღვევები** > წონის სწრაფი და/ან მნიშვნელოვანი კარგვა > ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტჯერ კუჭში გასვლა > ტკივილები პირის ღრუს არეში ან წყლული, რომლებიც ხელს გიშლით ნორმალურ კვებაში > ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში > შეუძლებლობა დალიოთ 24 საათის განმავლობაში და/ან მიიღოთ საკვები 48 საათის განმავლობაში
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
ინფექცია	**მოერიდეთ** რისკის შემცველ ადგილებს (ხალხმრავლობა, ავადმყოფებთან კონტაქტი და ა.შ.). **რეკომენდირებულია** პნევმოკოკისა და გრიპის საწინააღმდეგო **აცრა**: ის თქვენ დაგიცავთ.
წონა	**გააკონტროლეთ** რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს.
სტომატოლოგიური ჰიგიენა	**გამოიყენეთ** რბილი კბილის ჯაგრისი, გაიკეთეთ პირის ღრუ სავლები სოდის ბიკარბონატით. **მოერიდეთ** მენთოლის ან ალკოჰოლის შემცველ პირის ღრუს სავლებს.
კანის მოვლა	*მზისგან დასაცავად* **გამოიყენეთ** მზის დამცავი კრემი და მოერიდეთ მზეზე გასვლას.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
გულისრევის შეგრძნება	**უპირატესობა მიანიჭეთ** ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. **შეზღუდეთ** ცხიმიანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
დიარეა	**უპირატესობა მიანიჭეთ** დაბალბოჭკოვან საკვებს. სასურველია, **მიირთვათ** სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. **არ მიირთვათ** უმი ხილი და ბოსტნეული, რძის პროდუქტები, ყავა და ალკოჰოლი. **დალიეთ** წყალი დიდი რაოდენობით.
ანთება პირის ღრუში (წყლული)	**მორეიდეთ** მჟავე ან წებოვანი საკვების მიღებას და ძალიან მარილიან საკვებს.
წონის დაკარგვა	**უპირატესობა მიანიჭეთ** უფრო კალორიულ საკვებსა და „გემრიელ კვებას“.

SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com
საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის